№ 256
კვირა, 25 ნოემბერი, 1901 წ.

1877–1901

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 256
კვირა, 25 ნოემბერი, 1901 წ.
რედაქცია
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 25 ნოემბერს, 11 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილი იქმნება წლის პანაშვიდი ქართულ დასის არტისტ ქალის

ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

დი ამავე დასის სუფლიორის

Ն. ᲒᲐᲚᲣᲡᲢᲝᲕᲘᲡ

სულის მოსახსენებლად.

(1—1)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას, 25 ნოემბერს, 1901 წ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ
წარმოდგენილი იქნება:
ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ
Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ და სხვათა მონაწილეობით

ᲞᲐᲠᲘᲥᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑ-ᲦᲐᲒᲐᲙᲜᲘ

მელოდრ. 5 მოქ. პროლოგით და ეპილოგით დენიერისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი, ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

გალერეია 20 კ., პარტერი 50 კ., ლოჟები 3 მ. შეგირდებისათვის კუპონები ლოჟებში 60 კ.

მზადდება: Ვ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲝᲓ ახალი პიესა „შვილის ცოდოსათვის“. და „მუზმუზელა“ (ტარტიუფი) კ. მესხის მონაწილეობით.

რეჟისორი ვ. გუნია

(2—უ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადისტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Ძ. Მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Კ. Ი. ᲖᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

Ა. Პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ნ. Ნ. ᲠᲝᲚᲡᲢᲝᲛᲒᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

Ა. Ნ. ᲨᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

Ბ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

Ს. Ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲫᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана,
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲒᲘᲡ

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ ᲡᲐᲥᲔᲠᲐᲕᲡ: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ᲓᲐ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადისტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

Ძ. Მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. ნერვებისა.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

Კ. Ი. ᲖᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

Ა. Პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ნ. Ნ. ᲠᲝᲚᲡᲢᲝᲛᲒᲔᲙᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

Ა. Ნ. ᲨᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

Ბ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ალგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

Ვ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

Ი. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

Ნ. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

Ი. Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲥᲐᲚᲘ Მ. Ს. ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ ბავშვებისა—11—12 ს.

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

Ა. Გ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲘ — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

Ი. Დ. ᲒᲔᲒᲗᲐᲑᲔᲒᲝᲕᲘ. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

Კ. Მ. ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ. —შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—8)

ᲤᲢᲤᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲜᲝᲥᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.

თანამედროვე გაჭირვებული ცხოვრება, სოციალური და ეკონომიური პირობები და მოთხოვნილებანი ყველა წოდებისა და ხელობის ხალხს უნებურად აკავშირებენ, საზოგადო წარმატებისათვის შეერთებულად ამოქმედებენ.

სხვა-და-სხვა გვარი მომხმარებელი და დამხმარებელი საზოგადოებანი, ამხანაგობანი, კასსები, არტელები და სხ., ყოველივე ეს ნიშნობლივი თვისებებია ჩვენის გართულებულ და გამრავალფერებულ ცხოვრებისა, ჩვენს ხალხს ნელ-ნელა საზოგადოებრივობას აჩვევენ და ასწავლიან. რაც ერთისა და ორისათვის შეუძლებელად იყო აღიარებული, ის შეერთებულმა ძალამ დიდი ხანია სძლია, რაც ცალკ-ცალკე მეტოქეობასა და ძლიერთან არსებობისათვის ბრძოლას ვერ უმაგრდებოდა, ზემოხსენებულ საზოგადო დაწესებულებათა კრებულმა უმეტესს შემთხვევაში გამარჯვებით გამოიტანა,—მეტადრე-კი იქ, სადაც მთავრობის მოთავეობა სუსტობდა, ხალხს თვითონ უნდა ეზრუნა...

ასეთს დაწესებულებას წარმოადგენს, სხვათა შორის, ტფილისში ახლად დაარსებული „ნოქართა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებაც“, რომლის უკვე დამტკიცებული წესდებაც ამ ჟამად წინ გვიდევს.

რადგანაც საზოგადოების წესდება უკვე დამტკიცებულია, პირველი საზოგადო კრება მოხდა და ფაქტიურად საქმე დაწყებულია, ამისათვის საგანს თავისის სიგრძე-სიგანით აღარ განვიხილავთ და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, რაც წესდებით ნებადართულია, ესაც დიდი საქმეა ჩვენის უკან ჩამორჩენილ ნოქრებისათვის, თუ-კი საქმეში ერთგულობასა და თანხმობას გამოიჩენენ და ზოგიერთს, ჩვენის აზრით, შეუფერებელს მუხლს წესდებისას შემდეგში როგორმე შესცვლიან.

როგორც წესდებიდგანა სჩანს (§§ 1, 2), საზოგადოებას აზრადა აქვს: დაეხმაროს თავისს წევრებსა და მათს ოჯახობას; გაჭირვებულთ ამათგან გაუხსნას სესხი (I რიგის წევრებს 150 მან., II-სას 100 მან. და III რიგის წევრებს 75 მან. (§ 34); დაეხმაროს ფულით, როდესაც წევრს მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ადგილი დაეკარგება (I რიგის წევრს თვიურად 20 მან. არა მეტით, მე-II—15 მან. და მე-III—10 მან. (§ 33); უშოვოს ადგილი, თუ რომ ძველი თავისის მიზეზით არ დაუკარგნია; როგორც წევრებს, ისე მათს ოჯახობას, ავადმყოფობის დროს სამკურნალო დახმარება აღმოუჩინოს (§ 31); ავადმყოფსა და დაძაბუნებულს წევრებს, აგრეთვე მათს ოჯახობას საავადმყოფოებსა და სამადლო სახლებში ადგილი უშოვოს (§ 31, ე.); გაჭირვებულ წევრთა შვილებს თავშესაფარი მოუპოვოს და საქველმოქმედო და სამრეწველო სასწავლებლებში მიაღებინოს (§ 31, ვ.); გახსნას ტფილისში სავაჭრო კლასები (§ 31, ზ.); წევრის სიკვდილს შემდეგ მისს ქვრივს, ობლებსა და მოხუცებულს მშობლებს, აგრეთვე ძმებსა და დებს, რომლებსაც გარდაცვალებული წევრი ინახავდა, დახმარება აღმოუჩინოს (§ 39); წევრს, თუ სამარხად არა დარჩა-რა, უპატრონოს (§ 40); როდესაც საზოგადოება საშუალებას მოიპოვებს, ჯეროვანის ნებართვით შეიძინოს საკუთრებად სახლი, გახსნას სკოლა, საავადმყოფო, წიგნთ-საცავი, მოხუც წევრთათვის თავშესაფარი და სხ. ამგვარი დაწესებულებანი (§ 42); საჭირო საშუალების მოსაპოვებლად გამართოს ხოლმე: საჯარო კითხვები, კონცერტები, წარმოდგენები და სხ. (§ 43).

სამაგიეროდ, თვითოეულმა წევრმა წლიურად უნდა გაიღოს საწევრო: I რიგისამ—15 მან., II რიგისამ—10 მან., ხოლო მე-III რიგისამ—5 მან. და ერთ-ხანადაც, როცა წევრად შედიან, თითო თუმანი—ყველამ ერთნაირად (§ 13). ეს ნამდვილმა წევრებმა, მაგრამ, ამათ გარდა, არიან აგრეთვე წევრნი გულ-შემატკივარნი (ნება აქვს ყველას, წლოვანობისა და სქესის განურჩეველად, იწოდებოდეს გულ-შემატკივარ წევრად, თუ რომ თვითო მანეთზედ ნაკლები არ შეაქვს, ან-და ერთად 25 მან. შეუტანია (§ 15) და საპატიონი, რომელთაც განსაკუთრებულის სამსახურისა და უხვი შეწირულებისათვის ირჩევს საზოგადოება თავისს წევრთ შორის.

ნამდვილი წევრობა, წესდების მე-§ 12 შეუძლიან, სარწმუნოებისა და სქესის განურჩეველად, ყველას, ვინც-კი ტფილისში მსახურობს სავაჭრო ან სამრეწველო ნაწილში, მაგალითად: ნოქრებს, ბუხგალტერებს, სავაჭრო კორრესპონდენტებს, კანტორშჩიკებს, კასსირებს, აგენტებს, კომისიონერებს, მოურავებსა და სხ., თუ რომ სრულ წლოვანნი, ან 15 წლისაზედ არა ნაკლებნი არიან და სამხედრო სამსახურში არ ირიცხებიან ჯარის-კაცებად და სხ.

იმ შემთხვევაში, თუ რომ რაიმე მიზეზით საზოგადოება დაიკეტება და მისი მოქმედება საბოლოოდ მოისპობა, საზოგადო კრებას უფლება ეძლევა (§ 71) გაჰყიდოს რაც-კი რამ მმოძრავი ან უძრავი ქონება აქვს, ნაღდი ფული სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებათ აქციოს და სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს კანტორაში შეიტანოს

შესანახად იმ პირობით, რომ სარგებელი აქედგან შემდეგს სამს საქმეს მოჰხმარდეს:

ა) ფულით დახმარება (пособіе) აღმოეჩინოს ქ. ტფილისის ნოქრების უუღარიბესს ობლებსა და ქვრივებს, აგრეთვე საზოგადოების წევრებად ნამყოფს მოხუცებულებსა და შრომის ვეღარ შემძლებთ;

ბ) ქ. ტფილისის ღარიბ ნოქართათვის ერთ-ერთს რომელსამე საავადმყოფოში საწოლების გამართვასა

და გ) საზოგადოების ნამდვილ წევრებად ნამყოფთა და ქ. ტფილისის უუღარიბეს ნოქართა შვილების აღზრდას სხვა-დასხვა სასწავლებლებში და სავაჭრო კლასების დაარსებას ტფილისში.

ერთი სიტყვით, თუ რომ საზოგადოებას თანაგრძნობა აღმოუჩინეს და ერთგულობა არ მოაკლეს, თითქმის ყოველივე გათვალისწინებულია; გაჭირვებულ წევრთა დახმარებასა და ნოქართა საერთო ინტერესებს, გარდა ორიოდ-სამიოდ ნაკლისა, რომელთაგანაც ჩვენ მხოლოდ სამს დავასახელებთ, ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული.

პირველ ნაკლადა და უხერხულობად ამათგან უნდა ჩაეთვალოს წესდებას ის, რომ საწევრო ფულის მინიმუმი ერთ-ხანად შესატან თუმანთან ერთად (10+5) ცოტა არ იყოს საგრძნობელი თანხაა და, მაშასადამე, ის ნოქრები, რომელთა უმეტესობასაც ჯამაგირად თვეში 20—25 მ. მეტი არა აქვს ათითქმის ნახევრად მუდამ გაჭირვებულია, ან ვერასოდეს ვერ შესძლებენ წევრობასა, ან-და ძალიან დადის მსხვერპლით... და ამ რიგად საწოგადოების წევრებად უნდა ითვლებოდნენ შედარებით შეძლებულნი, უზრუნველ-ყოფილნი, რომელთაც ერთად 25 და 20 მანეთის შეტანა, ხოლო შემდეგ ყოველ-წლივ 15 და 10 მანეთისა არ გაუჭირდებათ. მაშასადამე, საზოგადოება არსებითად თავისს დანიშნულებას ცოტა არ იყოს ჭლალატობს და სწორედ დასახმარებელსა და გაჭირვებულს წევრებს თავიდგანვე გზას უკრავს, ეს ერთი.

მეორე ნაკლადა და უხერხულობად უნდა ჩაეთვალოს კიდევ ის, რომ გულ-შემატკივარს წევრებს ერთ-ხანად 25 მ. შეტანა ყოველგვარ მოვალეობისაგან ანთავისუფლებს სამუდამოდ, მაშინ როდესაც ასეთ წევრებად, ვიცით, უმეტეს ნაწილად სხვილი თუ წვრილი ვაჭრები და მრეწველები იქმნებიან, რომელთა საქმესაც საზოგადოების ნამდვილი წევრები ემსახურებიან მთელის სიცოცხლის განმავლობაში და რომელთაც შედარებით ბევრად მეტი გულ-შემატკივრობა და მზრუნველობა მოეთხოვებათ...

დასასრულ, მესამე და უკანასკნელ ნაკლად უნდა ჩავუთვალოთ ის, რომ თვითონ წევრების გონებრივად როგორმე წინ წაწევასა და განვითარებას წესდებაში (გარდა წიგნთ-საცავისა) არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული, მაშინ როდესაც ეს მხარე ჩვენის ნოქრებისა განსაკუთრებით ჭლალადებს და სამკითხველოები, საკვირაო საღამოს კურსები და სხვ. ამ გვარი გონივრული თავ-გასართობები ერთობ დიდს სამსახურს გაუწევდნენ, მათს სულიერს ქვეყნიერობას სულ სხვა შინაარსა და აზრს მისცემდნენ.

...მაგრამ, როგორც მოგახსენებ-ვით, იმედია, საზოგადოება უთუოდ ეცდება აღნიშნული ნაკლი და უხერხულობა მალე როგორმე შეივსოს და ასპარეზი მოქმედებისა გაიფართოვოს, გაიშინაარსიანოს.

ინ-ანი.

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 25 ნოემბერს, ქართულ თეატრში იაფ-ფასიანი წარმოდგენაა დანიშნული ვ. აბაშიძის მონაწილეობით. წარმოადგენენ მელოდრამას „პარიჟის ღარიბ-ღატაკებს“.

*** ჩვენს მკითხველებს თავის დროზედ მოხსენდა ბაქოში ქართულ-რუსულ სამკითხველოს ისტორია. ბოლოს ხნებში, ბაქოელ ქართველთა თხოვნით, სამკითხველოს მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის ზრუნვას შეუდგა განათლებული ნავთის მწარმოებელი ქართველი, მადნის ინჟენერი ი. დ. ამ პირის რჩევითა და წათამამებით ჩვენმა თანამემამულემ მწერალმა ქალმა მალიაშვილმა აიღო ჯეროვანი ნებათრვა სამკითხველოს გახსნისათვის, რადგანაც წინანდელს, მკერვ—ლის სახელზე მკვდარ-ცოცხლად არსებულს, დავთრები აერია და სახელიცა და ნდობაც მკითხველთა შორის სრულიად დაკარგული ჰქონდა. მკ—ლის სამკითხველოს დამაარსებლებმა სიამოვნებით მიჰკერძეს ქ-ნ მალიაშვილს და დაადგინეს პირველ სამკითხველოს ქონება სრულად გადასცემოდა ახალს, დასაარსებელს სამკითხველოს. ი. დ—ისვე წინადადებით ქ-ნმა მალიაშვილმა სთხოვა ქალაქის თვითმმართველობას შესაფერ სუფსიდიის დანიშვნა. თხოვნას თან ახლდა ი. დ—ს გავლენიანი სახელის მფარველობა და ზნეობრივი დახმარება. საბჭომ განიხილა აღძრული საგანი და თითქმის ერთხმად დაუნიშნა ქართულ-რუსულ სამკითხველოს ყოველ წლიურ სუბსიდიად 600 მან. მაგრამ დახეთ ბედსა! ეს ფული დანიშნულს ჯიბეს ასცდა... სხვისაში ამოჰყო თავი. ერთს დღეს გამგეობაში შედის იგივე მკ—შვილი და იღებს მალიაშვილისათვის დანიშნულ ფულს. იმ დღიდამ აქამომდე მკ—ლი ბაქოს აღარ ეკარება. საქმის მეთაურებს სასამართლოს გვიანი გზის მეტი არა დარჩენიათ-რა. ეს კი საქმის სანახევროდ დამარხვას უდრის. მარტო ბაქოს ქალაქის გამგეობა არ შეუცდენია მკერ—ილს. ასეთივე საქმე დაჰმართა იმავ დროს ადგილობრივვე პოლონელთა ახალგაზდობას, რომლისაგანაც მიიბარა პოლონურს ენაზე დაბეჭდილი დიდძალი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ვითომ და საერთო სამკითხველოს დასაარსებლად, მიგრამ... რაკი იმ სამოც თუმანს გადაჰყვა, პირობა როგორღა შეუსრულოს მიცკევიჩის გულ-უბრყვილო თანამემამულეთ!

ზარალს გავუძლებთო, გვწერს ჩვენი ბაქოელი მოამბე, მაგრამ პოლონელთა წინაშე სირცხვილს სად გავექცეთო?

*** მომავალ დეკემბრის 16-ს ტფილისში გაიმართება კავკასიის მწერლობის, სტამბების, ლიტოგრაფიების და გამომცემლების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წესდება „ბეჭდის საქმის მოღვაწეთა საურთი-ერთო დამხმარებელ საზოგადოებისა“. ტფილისის გუბერნატორს უკვე დაურთავს ნება კრების მოწვევისათვის.

*** კავკასიის მადანთა მმართველობის უფროსი ბ-ნი შოსტაკი სოფელს გლდანს გამგზავრებულა, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს თუ რამდენად მართალია ხმები—ვითომც იქაურს მიდამოში ოქროს მადნის ნიშნები გამოჩენილიყოს.

*** „Тиф. Листокъ“-ში ვკითხულობთ: „პეტერბურგის სომეხთა ეკკლესიების საბჭო ყოველ წლივ აძლევდა იქაურ სტუდენტთა კასსას თორმეტი ათასს მანეთს; მომავალ წლიდან-კი, სომხურ გაზეთის „მშაკის“ სიტყვით, ეს თანხა ასე იქნება განაწილებული: ა) პეტერბურგელ სტუდენტებს მიეცემათ ექვსასი თუმანი, მოსკოველ—სამასი და დანარჩენ ქალაქის სტუდენტებსაც სამასი თუმანი“.

ესეთი ჭკვიანი ხალხია სომხები. მათი პეტერბურგის საეკლესიო მამულების შემოსავალიც-კი მათი შვილების აღსაზრდელად იხარჯება.

ჩვენც გვაქვს საეკლესიო მამულები.

ზოგი მათგანი ჩვენი საეკლესიო მთავრობის განკარგულებაშია და, რასაკვირველია, წესიერად დანიშნულებისამებრ იხარჯება.

გვაქვს ისეთი საეკკლესიო მამულებიც ქართლ-კახეთსა და იმერეთში, რომელთა შემოსავალი ჩვენგან ჩვენთვის წმ. ადგილებში აგებულ მონასტრებისათვის არის შეწირული. ამ მამულებს დღეს განაგებენ ბერძნის (რასაკვირველია, მართლმადიდებელნი) ბერები. წმინდა შემოსავალი იხარჯება იერუსალიმისა და ათონის ბერძენთ სინკლიტების დასაჯილდოვებლად და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სკოლაში ბერძნებისა და სირიელების ბავშვთა აღსაზრდელად.

*** ნოემბრის 21-ს ახტალის რკინის გზის სადგურის მესამე კლასის დარბაზში, საღამოს 8 საათზე ვიღაც ტიგრანას თოფით მოუკლავს გლეხი პაშა დობოსოვი.

*** ამ თვის 24-ს სადგურს ფოილთან ბოროტ-განმზრახველნი თავს დასხმიან № 142 მატარებლის იმ ვაგონს, რომელიც შაქრით ყოფილა დატვირთული. მატარებელი დაუბრუნებიათ სადგურზე. აქ კი ვაგონების კარებზე აუგლეჯიათ დამღები, როგორც ეტყობა, ბოროტ განმზრახველთ.

დამაკვირდი

—

მამულის სიყვარულმა მეტ-ნაკლებობა არ იცის: ვინც მთლად არ ემსახურება მას, ის სულაც არ ემსახურება; ვინც ყოველისფერს არ, აძლევს, ის არასფერს აძლევს.

ბერნე.

—

ბევრი რამ მინახავს რაც თვალსა და გულს ამხიარულებს, მაგრამ არას დროს არ მინახავს იმისთანა რამ, რომ სამშობლოსავით ტკბილი იყოს.

ბოდენშტედი.

—

ნამეტანობისაგან განკითხვა და გაცემა გულუხვობა კი არ არის, ვალის დაბრუნებაა.

დ. არტათსი.

ვინ იყვნენ ხატაველნი?

(ღია წერილი ჩვენს ისტორიკოსებს).

—

პროფესორის სეისის წიგნში „ისტორია ერთის დავიწყებულის იმპერიისა“ მოთხრობილია ისტორია ხატაველთა, რომელთა ხსენება დღესაც არ გამქრალა ჩვენს ხალხში (ხატაური კატა) და რომელთაც რუსთაველიც მოიხსენიებს, როგორადაც „მეტად მუხთალთ.“

სეისის სიტყვით ხატაველნი ფრიად განათლებულნი და ძლიერნი იყვნენ: ერთს დროს—ებრაელთა გამოსვლამდე ეგვიპტიდგან—ხელთა ჰქონდათ მთელი მცირე აზია და თვით ეგვიპტეს სჯობნიდნენ. მათი ენა „ალაროდიულის ენის მოდგმისა უნდა ყოფილიყოს, რომლის ცოცხალი წარმომადგენელი დღეს ქართული-ღა უნდა იყოს“. ევროპას ხატაველებმა გადასცეს თავისი განათლება და ძველს საბერძნეთის და რომის კულტურას საფუძვლად აზიური, ხატაური, კულტურა ედვაო.

სხვათა შორის ამ თხზულებაში მოყვანილია შემდეგი ცნობა ასსურეთის მეფის ტუკლატ-პალ-აზარისა (1110 წ. ქრ. შობამდე): „ჩემის მეფობის დასაწყისში ოცი ათასი მესხი (კაცნი მესხელნი) და მათი ხუთი მეფე, რომელნიც უკანასკნელ 50 წელს ალზის და პურუკუსის ქვეყნებსა მფლობდნენ, რომელნიც წინედ ჩემს ბატონს აზურს აძლევდნენ ხარჯს, და ჯერეთ არც ერთს მეფეს არ შეჰყროდნენ ბრძოლის ველზედ, მიენდვნენ თავიანთ ძალას და დაიჭირეს კუმუხის მხარე“.

ტუკლატ-პალ-აზარმა დაამარცხა მესხნი, შევიდა მათს ქვეყანაში და ალყა შემოარტყა მათს სიმაგრეს ურრუქინას. მეფე სადი-ანტურუ, „შვილი ქატუკის-ხატაველისა“, მუხლ ქვეშ ჩაუვარდა გამარჯვებულს და მით მოიპოვა სიცოცხლე, მაგრამ დიდი ქვეყანა კუმუხისა ასსურელთა სახარკოდ დარჩა.

თითქმის იმავე დროს ოთხი ათასი კოლხელი და ურუმელი მხედარი, რომელნიც მოხსენებულნი არიან, როგორც „ხატაველთა ჯარისკაცნი“ მესოპოტომიის ჩრდილოეთში ერთ-ერთ ქალაქიდგან თავის ნებით დაემორჩილნენ ასსურელთ და გადასახლებულ იქმნენ ასსურეთში მთელი თავისი ქონებით და ეტლებით.

არის რამ შესახებ ხატაველთა ჩვენს ისტორიაში?

ი. მ—ანი

თეატრის მატიანე

—

ქუთაისის თეატრი.

„კრეჩინსკის ქორწილი“ 3 მოქ. კომ. სუხოვო-კობილინისა. „მოჩვენება“ ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

კვირის წარმოდგენას საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ინტერესი ჰქონდა და აი რატომ: რასპლიუევის როლს „კრეჩინსკის ქორწილში“ ასრულებდა ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი. ვინც-კი იცოდა, თუ რა ტიპია რასპლიუევი, უსათუოდ უნდა დასწრებოდა წარმოდგენას, რომ ენახა, თუ როგორ ითამაშებდა ბ-ნი მესხიშვილი ამ გვარ მისის ნიჭისათვის სრულიად შეუფერებელ როლს. ესეც რომ არ ყოფილიყო, [illegible] შინ ბ-ნი აბაშიძე [illegible] ლეობას, რომელიც რასაკვირველ[illegible] ღირსია საზოგადოების ყურადღ[illegible] სა, მაგრამ... საზოგადოება მა[illegible] ნაკლებად დაესწრო ამ წარმოდ[illegible] ნას. კრეჩინსკის როლი, მიუხ[illegible] ვად მისის სიძნელისა, ვ. აბაშ[illegible] კარგად შეასრულა, თუმცა, [illegible] უნდა ვსთქვათ, რომ ამისთანა [illegible] ლი პატივცემულ მსახიობის [illegible] ლუა არ არის. განსაკუთრებით [illegible] გი იყო ბ-ნი აბაშიძე მეორე მ[illegible] მედების პირველ სცენებში. ბ[illegible] მესხიშვილმა ამ საღამოს საუ[illegible] ვო თამაშობით განცვიფრებაში [illegible] ყვანა დამსწრე საზოგადოება. [illegible] ლად თუ წარმოვიდგენდით, [illegible] მსახიობი, რომლის ნიჭს ჰამლეტ[illegible] ფრანც მოორის და ჟერიელ ა[illegible] ტას როლები შეეფერება,—რ[illegible] ლიუევის როლს აასრულებდა [illegible] მერე ასე ჩინებულად. როდეს[illegible] ხედავდით სცენაზე დაბეჩავებ[illegible] და გათახსირებულს რასპლიუ[illegible] მის ტანჯვას და სასაცილო მდ[illegible] მარეობას,—გეცინებოდათ და [illegible] ვე დროს არარაობამდე მისულ [illegible] მიანისადმი სიბრალულისაგან [illegible] ლი გეთანაღრებოდათ, მაგრამ [illegible] მარისი იყო ერთი მცირე გაღიმ[illegible] რასპლიუევისა, ერთი მიმოხვრ[illegible] და თქვენ სიცილს ეძლეოდით. [illegible] თი იყო მესხიშვილის მიერ [illegible] როვნებული რასპლიუევი, რაიც [illegible] სიქადულო მსახიობის ნიჭის [illegible] ვალმხრივობის მაჩვენებელია. ბ[illegible] ქუჯმა ჩვეულებრივ ზომიერ[illegible] ჩაატარა მურომსკის როლი. და[illegible] ჩენი მოთამაშეები ანსაბლს ხ[illegible] უწყობდნენ.

ქ-ნი ივანიძე, ბ-ნნი ბალანჩი[illegible] და ქუჯი ბევრს ეცადნენ ვოდევ[illegible] ში, მაგრამ ვერაფერი გააწყეს, [illegible] დგანაც ვოდევილი უშინაარსო[illegible] უხეირო გამოდგა.

Н. N.

—

შაბათს აქაურ სახალხო ს[illegible] ნის მოღვაწეთაგან გამართ[illegible] იქმნა წარმოდგენა (იაფ-ფასიან[illegible] ითამაშეს აზიანის კომედია „ფუ[illegible] და ხარისხი“ და ვოდ. „ჯერ [illegible] ხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“[illegible] წარმოდგენამ ჩვეულებრივ [illegible] ძალი საზოგადოება შეკრიბა [illegible] ტრში, რაიც ცხადი მაჩვენებელ[illegible] იმისა, რომ ჩვენი ხალხი შე[illegible] თეატრს და ყოველთვის სიამოვ[illegible] ბით ესწრება წარმოდგენებს. სა[illegible] გადოების განსაკუთრებული ყუ[illegible] დღება დაიმსახურეს საუკეთ[illegible] თამაშობით ქ-ნმა გაბუნია-ცაგ[illegible] ლისამ და გ. ყაზახიშვილმა. [illegible] ველის შესახებ ლაპარაკი მეტ[illegible] მიგვაჩნია; ამას-კი ვიტყვით, [illegible] ასეთ მსახიობის მონაწილეობა [illegible] ღაც განსხვავებულ ელფერს ად[illegible] წარმოდგენას და კარგი იქნება ხ[illegible] რად მოიწვევდნენ ჩვენი სახალხოს[illegible] ნის მოღვაწენი. ბ-ნმა ყაზახიშვ[illegible] მა ნიჭი და დაკვირვება გამოიჩ[illegible] ამ წარმოდგენაში. ვურჩევთ, ჩ[illegible] ინტელიგენტებს ცოტა მოუხშირ[illegible] იაფ-ფასიან წარმოდგენების გამ[illegible] თვა, თორემ სამის თვის განმავლ[illegible] ბაში ეს წარმოდგენა პირველი იყ[illegible]

Н. N.

რუსეთი

—

— ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში წინადადება შეუტანია, რომ მეღვინეების უპირატესობა-შეღავათნი ღვინის გასაღებისა შეზღუდულ იქმნენ.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროში კომისია თურმე შეუდგენიათ, რომელმაც შინა მეკრამიტეობის განსაკარგებლად უნდა იზრუნოს რამე.

— რუსეთში აარსებენ მეფუთკრეობისა და მეაბრეშუმეობის ხელშემწყობს ახალს საზოგადოებასა.

— განზრახვა აქვთ სრულიად რუსეთის საპენსიო კასსა დაარსონ იმათთვის, ვინც ნოტარიუსთა კანტორებში მსახურებენ. პროექტი წესდებისა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, უკვე შეუმუშავებიათ ⁄ გასაცნობად ⁄ თავიანთის აზრის გამოსათქმელად იმპერიის ყველა ნოტარიუსებისათვის გაუგზავნიათ. საქმის საბოლოოდ გარდასაწყვეტად ამ ზამთარს პეტერბურგში მოხდება კრება სრულიად რუსეთის ნოტარიუსთა წარმომადგენლებისა, რომელთაც უკანასკნელად უნდა განიხილონ საგანი და თავისი გარდაწყვეტილება დაადგინონ. პროექტით განზრახულია ნოტარიუსის კანტორებში მსახურთ დაენიშნოთ პენსიად: 15 წლის სამსახურისათვის—300 მან., 20 წლისათვის 600 მან., 25 წლისათვის 1,200 მან. კასსის თანხა შესდგება ყველა წევრის მიერ ერთხანად შეტანილ ათ-ათის მანეთისა და იმ თანხისაგან, რომელიც კასსის წევრებს შემდეგ წვრილ-წვრილად გამოერიცხებათ ჯამაგირიდგანა და ჯილდოდგან.

— განზრახვა თურმე აქვთ სასოფლო-სამეურნეო სამექანიკო საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება დაარსონ. საზოგადოებას აზრად ექმნება გაჭირვებულს წევრებს ფულით დაეხმაროს, სესხი გაუხსნას, საჭირო მასალით ხელი გაუმართოს.

— აზრადა აქვთ სხვა-და-სხვა კლუბების საწევრო ბილეთებს, სათამაშო ქაღალდსა და ველოსიპედებს ბავშვების თავშესაფართა სამზრუნველოების სასარგებლოდ განსაკუთრებული გარდასახადი შეაწეროონ.

— პეტერბურგის სამხედრო სამკურნალო აკადემიაში დაარსდა ნორმალურ და პატალოგიურ ფსიხოლოგიის რუსეთის საზოგადოება, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია.

უცხოეთი

—

გერმანია. ახალ საბაჟო ტარიფის გამო გერმანიაში ამ ჟამად დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა. მთავრობამ პროექტი ტარიფისა პარლამენტში 12 ნოემბერს შეიტანა. მას შემდეგ განუწყვეტელი კამათია. ეს ახალი საბაჟო ტარიფი, რაღა ლაპარაკი უნდა, ყველაზედ მეტად ხელ-საყრელი აგრარიებისთვისაა. იმის წყალობით გაჭირდება საზღვარ გარეთიდგან სასოფლო ნაწარმოების შემოტანა და ამ რიგად ბაზარში აგრარიების ნაწარმოებს მეტოქე აღარ ეყოლება. შედეგად ამ მფარველობით სისტემას, ეჭვი არ არის, სულადის და სოფლის სხვა საქონლის დაძვირება მოჰყვება, რაიცა აგრარიებისათვის დიდად სარფა და სასარგებლო იქნება. კიდეც ამიტომ სცდილობენ ეხლა პარლამენტში აგრარიები ამ პროექტის განხორციელებას. სამაგიეროდ პროექტს მტერიც ბევრი ჰყავს. პირველი და უმთავრესი მოწინააღმდეგე ამ პროექტისა სოციალ-დემოკრატნი არიან. კერძო კრებაზედ სოციალ-დემოკრატთა დეპუტატებმა გადასწყვიტეს უარ-ჰყონ ყველა მუხლი ახალის პროექტისა და საზოგადოდ, ეცადნენ პროექტი არასოდეს კანონად არ გადაიქცეს. მთავარ მოკამათეებად და ორატორებად პროექტის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატებმა ბებელი და ზინგერი აარჩიეს.

ძნელია წინ-და-წინვე იმისი თქმა, პარლამენტი მიიღებს პროექტს თუ არა. დასთა რაოდენობა პარლამენტში დღეს ასეთია: ცენტრი—160, სოციალ-დემოკრატი—156, კონსერვატორი—51, ნაციონალ-ლიბერალი—51, თავისუფალი მოაზრე—39, დამოუკიდებელი—37, საიმპერიო დასის წევრი—20, პოლონელი—14, სოციალურ რეფორმის დასის წევრი—10, სახალხო დასის წევრი—7.

ავსტრია. ორი უმთავრესი საგანია, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს პარლამენტისაგან: ბიუჯეტის დამტკიცება და უნგრეთთან ახალის ხელშეკრულებას დადება. თუ ეს საგნები არ გადასწყდა, სახელმწიფო დიდს გაჭირვებაში ჩავარდება. მთავრობა რამდენი ხანია სცდილობს ამ საქმის მოგვარებას, მაგრამ ყოველივე ცდა უნაყოფოდ რჩება. დასნი და ერნი განზედ იწევენ და მთავრობას მხარს არ უჭერენ. ყველა იმას გაიძახის, ვიდრე ჩვენ სურვილს არ აღასრულებთ, მხარს არ დაგიჭერთ ამ საქმეების გადაწყვეტაშიო. ხოლო სურვილი ავსტრიაში, ამ ერთა სახელმწიფოში, ათასია. გერმანელნი უწინდელ ბატონობასა და პირველობას თხოულობენ, ჩეხნი—სრულს თანასწორობას, რუსინნი, სლოვენნი და სხვანი—საკუთარ უნივერსიტეტებისა და სხვა სასწავლებლების დაარსებას, ენების აღდგენას, თავისუფლებას და მრავალ სხვა რამეს. მოდი და ეხლა ყველანი დააკმაყოფილე. დღევანდელმა სამინისტრომ, ბევრის ცდისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, უკანასკნელ საშვალებს მიჰმართა. გარდასწყვიტა, მოელაპარაკოს ყველა დასთა წარმომადგენლებს და ეცადოს როგორმე დაითანხმოს უსაჭიროეს საგნების გადასაწყვეტად. თუ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, სამინისტროს აზრადა აქვს პარლამენტი დაითხოვოს და საქმეები კონსტიტუციის მე-14 §-ის ძალით, ე. ი. იმპერატორის სახელით გადასწყვიტოს. აი, ეს გამოუცხადა მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა დასთა წარმომადგენლებას, როდესაც თავისთან მიიწვია მოსალაპარაკებლად. „იმედი მაქვს, დასძინა ბოლოს კერბერმა, არც ერთი დასი არ ჩასთვლის სასურველად საქმის ასე დაბოლოებას და უპარლამენტოდ საქმეების გადაწყვეტას.“ მინისტრ-პრეზიდენტის შემდეგ ილაპარაკეს დასების წარმომადგენლებმა. თითქმის ყველამ საჭიროდ დაინახა ბიუჯეტის დამტკიცება, და ამ საქმეში მეთაურნი დაჰპირდნენ კიდეც მთავრობას დახმარებას. მსხვილ მემამულეთა დასისა, პოლონელთა კლუბისა, სლოვაკთა და რუსინთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩვენს კერძო მოთხოვნილებებს დროებით თავს გავანებებთ და დაგეხმარებით მაგ საგნების გადაწყვეტაშიო. ესევე სთქვა მლადო-ჩეხთა წარმომადგენელმა პაცაკმა, მხოლოდ დაუმატა,—მხარს ბიუჯეტის გადაწყვეტაში დაგიჭერთ, რაც შეეხება უნგრეთთან ხელ-შეკრულებას, ჩვენი იმედი ნუ გექნებათ, ვიდრე ჩეხთა კანონიერ მოთხოვნილებებს არ აღასრულებთო.

ინგლისი. ინგლისში ხმა დადის, რომ დღევანდელი მეთაური კაბინეტისა—სალისბიური სამსახურს თავს ანებებსო. ამბობენ, იმის ადგილს პირველის მინისტრისას ლორდ ბალფური დაიჭერსო. სამსახურს ფინანსთა მინისტრი გიკსბიჩიც ანებებს თურმე. იმასაც ამბობენ, რომ ჩემბერლენს ახალშენის მინისტრობის ნაცვლად სხვა პორტფელს გადასცემენო.

— ლონდონში ჩავიდა ქ-ნი ჰობგაუზი, რომელმაც ასე თამამად გამოამჟღავნა ათასი სისაძაგლე, სამხრეთ აფრიკაში ინგლისელების მიერ ჩადენილი და რომელიც, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, სამხრეთ აფრიკიდგან განდევნეს. ამ მამაცმა ახალგაზდა ქალმა მთელის ინგლისის ყურადღება მიიპყრო. გაზეთები სწერენ, რომ ინგლისის მოხელეთა საქციელს და ჰობგაუზის განდევნას სამხრეთ-აფრიკიდგან უპროტესტოდ არ დასტოვებენ მწერალ ქალის ნათესავებიო. ჰობგაუზის ოჯახი მეტად გავლენიანი ოჯახია ინგლისში. ორი იმისი ბიძაშვილი პარლამენტის წევრია, მესამე—ჟურნალ „Guardian“-ის რედაქტორი, ბიძა ლორდ სომერსეტი—ახალშენის ეპისკოპოსი, ძმა ცნობილი ფილოსოფოსი და მწერალია. ეჭვი არ არის, ეს ნათესავნი იაფად არ ჩაუტარებენ ჩემბერლენს ახალგაზრდა ქალის სამხრეთ-აფრიკიდგან განდევნას.

— ინგლისში ძალიანა შიშობენ, რომ მომავალის წლის ბიუჯეტის განხილვის დროს სამხედრო მინისტრმა პარლამენტს ახალის გადასახადების შემოღება არ ურჩიოს. ომის დაწყების შემდეგ გადასახადებმა ინგლისში ორჯელ იმატა.

— ხმა დადის, რომ ლორდ კიტჩენერს მალე ინგლისში დაიბარებენ და იმის ადგილას სამხრეთ-აფრიკის ჯარის უფროსად ლორდ ჰამილტონს დანიშნავენო.

სამხრეთი აფრიკა. უცნაურ ამბავს გადმოგვცემს ინგლისურ გაზეთის „Standard“-ის კორრესპონდენტი. ამ ვაუბატონის სიტყვით, ერთი ნაწილი ბურებისა თავისის ძმების, ბურებისავე, წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება. გაზეთი იუწყება, რამდენმამე ტყვე ბურმა, მათ შორის გენერლებმა ცელიერსმა და ანდრე კრონიემ (გამოჩენილ კრონიეს ძმამ), წინადადება მისცეს კიტჩენერს, ბურებისაგან რამდენსამე რაზმს შევადგენთ და დაგეხმარებითო. კიტჩენერს თანხმობა გამოუცხადებია და ჯამაგირიც დაუნიშნია ბურებისათვის. თვითეულ ასეთ რაზმთან ორი ინგლისელი აფიცერი იქმნება. ამ ბურთა უმრავლესობას მდიდარი მემამულენი შეადგენენო, დასძენს კორრესპონდენტი. ეს ამბავი ძნელი დასაჯერებელია. საეჭვოა, რომ ბურებმა, თუნდაც მდიდრებმა, უღალატონ იმ საქმეს, რომლისთვისაც ასეთის სიმამაცით ჰღვრიან სისხლს, და მტერს მიუდგნენ.

— ერთ ნემეცურ გაზეთში დაბეჭდილია წერილი შვეიცარიელ აფიცრისა, რომელიც სამხრეთ აფრიკაში იბრძოდა ინგლისელების წინააღმდეგ. აფიცერი აცხადებს, რომ ყველა იმ ტყვე ბურებს, რომელნიც ინგლისელებმა წაიყვანეს, ინგლისური თოფები ჰქონდათო. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ბურები თოფებსა და სამხედრო მასალას ინგლისურ ფირმისაგან იძენდნენ. ეს ფირმა თავისის გემით ჰგზავნიდა სამხრეთ-აფრიკაში საომარ იარაღს და იქ დურბანისა და ლორენცო-მარკეზეს ნავთ-სადგურებიდგან ბურებს, ინგლისელ აფიცერთა ტანისამოსებში გამოწყობილებს, თავიანთ ბანაკში მიჰქონდათო.

— „Paris Nouv.“-ში დაბეჭდილია ბურთა გენერალის დელარეის პროკლამაციის ტექსტი. ეს პროკლამაცია დელარეის ბურთა გენერლებისა და სახელმწიფო პროკურორის თანხმობით გამოუცია კიტჩენერის პროკლამაციის საპასუხოდ. უპირველეს ყოვლისა დელარეი ბურებს უცხადებს, რომ არა ვცნობ კიტჩენერის პროკლამაციას, რადგანაც მიზნად ამ პროკლამაციას ისა აქვს, რომ ბურებს ხელი ააღებინოს თავიანთ მოვალეობაზედ სამშობლოსა და მოძმეთა წინაშე. „როგორ უნდა დავემორჩილოთ იმ ხალხს, ნათქვამია პროკლამაციაში, რომელიც პატივს არა სცემს კონვენციებს? ინგლისმა დაარღვია კონვენციები არა მარტო 1852 და 1854, არამედ 1868 და 881 წლეებში; ჩვენ-კი წმინდად ვიცავდით ამ კონვენციებს. თუმცა კიტჩენერი ბევრს რამესა გვპირდება, მაგრამ იარაღს მაინც ვერ დავყრით. ვწუხვარ იმ მოძმეთა გულისთვის, რომელთაც კიტჩენერის სიტყვები დაიჯერეს. იმათ ეხლა ისევე ექცევიან, როგორც ტყვეებს; ტყვეებსავით მოაკლეს მათ თავისუფლება. ვაფრთხილებ ყველას, ვინც-კი ინგლისელების მხარეს გადავა, რომ სახელმწიფო მოღალატეებად იქმნებიან ჩათვლილნი და კანონისამებრ დაისჯებიან.“

საბაასო

დამოუკიდებელთა ფიზიონომია

—

წ. კ. გ. საზოგადოების უკანასკნელი კრება არა მარტო „ძველისა და ახლის შეტაკებით“ ყოფილა საინტერესო, არამედ „ჩვენის ახალგაზდობის ერთის ჯგუფის ფიზიონომიის“ გამოსარკვევადაც,—„ცნობის ფურცლის“ ჯგუფისა, რომელიც ორად გაიყო: „ახალგაზდა ბებრები ბებრებს მიემხრნენ, ხოლო ახალგაზდობის და დამოუკიდებლობის მსურველებმა ბებრების ანტაგონისტებს გაუწიეს ცალი ხელი, მეორეთი-კი ესენიც ბებრებს ჩასჭიდებოდნენ, თუმცა-ღა დამოუკიდებლად მოქმედებდნენ: ეს შემთხვევა ჯერ-ჯერობით ცოტას გვეუბნება, მაგრამ თვით დამოუკიდებლობის სურვილი ღირს აღსანიშნავად მიგვაჩნია და რამდენადაც მათი ფიზიონომია გამოირკვევა, იმდენად უმჯობესია“.

ესა სთქვა „კვალმა“ და მოუწონა „ივერიამ“: „კვალთან ერთად ჩვენც სასიამოვნოდ დაგვრჩებოდა მათის ნამდვილ ფიზიონომიის გამორკვევაო“.

„კვალის“ სიტყვით წ. კ. გ. ს. კრებაზედ ძველი და ახალი შეტაკებულან. იქნება თავის საზოგადო პროგრამით მართლა ახალს რასმე წარმოადგენდეს „კვალი“, მაგრამ წ. კ. ს. კრებაზედ ჩვენს საზოგადო პროგრამებზედ ხომ არ ყოფილა ბაასი. საკამათო საგანი წერა-კითხვის გავრცელება იყო, ვიწრო, ფრიად ვიწრო წრეში ჩაყენებული, და კვალის წარმომადგენელთ იქ ძველების ნათქვამის და ნამოქმედარის წინააღმდეგ ახალი არა უთქვამთ-რა. ძველებს ძველებურად საქმის წარმოებას-კი არ უწუნებდნენ, მარტო უსაქმურობას უკიჟინებდნენ და უსაქმობა ხომ მარტო ძველების მონოპოლიად არ გამხდარა. ძველებში—„კვალის“ კლასიფიკაციას რომ მივყვეთ—ახლებიც ერივნენ, ბ-ნნი ზურაბიშვილი, კიტა აბაშიძე, ლორთქიფანიძე; ძველებთან ერთად ესენიც არას აკეთებდნენ და არავითარ ინიციატივას და თვით მოქმედებას არ იჩენდნენ. მაშ რა იყო ეს ძველებად და ახლებად გაყოფა, რა საფუძველზედ იყო იგი დამყარებული და რაში, რა საკითხში გამოიხატა მათი შეტაკება? ან რა საკადრისი იყო ძველების ბებრებად ხსენება?

ახლები ძველთა საქმეს მხოლოდ ერთს შეეხნენ—კავკავის სკოლას შიგ მყოფი უნდა განაგებდეს და არა გარეშე პირიო. საკმარისად პედაგოგიურადაც დაამტკიცეს თავისი, მაგრამ შემდეგში, როდესაც გამგეობამ დაადგინა—ბ-ნ გოთუას, სკოლის გარეშე მყოფს, ვთხოვთ სკოლის გამგედ დარჩესო, ახლების საუკეთესო წარმომადგენლებმა არა თუ არ გამოაცხადეს წინააღმდეგი, არამედ სავსებით დაეთანხმნენ ძველებს.

ცოტა სხვაფრივ ვთქვათ, უფრო ადვილად გასაგებად და სამართლიანადაც.

„კვალის“ მომხრეთ ეგონათ, საქმე იმიტომ არ მიდის ჩვენის სურვილისამებრ, რომ სათავეში ჩვენ არ ვუდგევართო. საქმის გამოსაცოცხლებლად, მაშასადამე, საჭირო იყო მათი გამგეობაში შესვლა, ესე იგი კრებაზედ ხმათა უმრავლესობის ყოლა. და ჰყავდათ კიდეც უმრავლესობა. ვიმეორებთ, ამ ახალთ გამგეობაში ყოფნის სურვილის მეტი ახალი არა უთქვამთ-რა და თუ—მე გჯობნი და გაგაგდებო—ძველის და ახალის შეტაკებაა, დეე აგრე იყოს.

მახსოვს იმავე წ. კ. გ. ს. ერთს კრებაზედ კვალისტი გაცხარებით უმტკიცებდა საზოგადოებას—საქართველოს სკოლები და ბიბლიოთეკები უნდა მოვფინოთ

და არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ შავის ზღვის პირს, სადაც კი ქართველი მუშა მოიპოვებაო. ახალი ეგონა ეს აზრი, გულწრფელად სწამდა, ჩემამდე ეს არავის უფიქრიაო და მე ჭაბუკი სხივსა ვფენ და ვანათლებ ბებრებსაო.

დღეს ახალთა წარმომადგენელთ ამისთანა არა უთქვამთ-რა, მაგრამ უსაფუძვლოდ დაყოფა ახლებაც და ბებრებად,—უსაფუძვლოდ, რადგან ახლებმა წ. კ. გ. ს. გამგეობაში თავიანთი მოღვაწეობის პროგრამა არ გამოსთქვეს,—აჩქარებულია.

„ცნობის ფურცელს“ რაღა ნებავდა?—იგივე გამგეობაში ყოფნა. მაგრამ ძველებისა წინააღმდეგი იყო, ახლებისა—უფრო და, მაშასადამე, თუ გამარჯვება უნდოდა, ან ერთს უნდა მიჰკედლებოდა, ან მეორეს. და ასეც მოიქცა: საითაც უმრავლესობა ნახა, იქით გადავიდა.

„კვალთან“ „ცნობის ფურცელს“ საზოგადო არა აქვს რა. მაშასადამე, უნდა დაეთმო რამე და დაუთმო კიდეც. იქნება ბევრიც იძახის თავის გასამართლებლად—მიზანი წმინდა გვქონდა და აღარავითარი საშუალება არ ვიუკადრისეთო—სხვის კი ვერა და იქნება თავისი თავი-კი მოატყუონ. გამგეობაში წევრად ყოფნას ერთმა მათგანმა თავისი ნორჩი ლიტერატურული სახელიც კი ანაცვალა.

სად არის აქ არსებითი შეტაკება, რომ აქეთ თუ იქით მიდგომით დამოუკიდებელთა ფიზიონომია გამორკვეულიყოს?

ბ-ნი გოგებაშვილი ჩვენც გვინდოდა, დამოუკიდებელთ, კვალელებსაც და ზოგ-ზოგს, თუ ყველას არა, ძველებსაც. მაშ „კვალი“ ცალი ხელით „ბებრებს დაბღაუჭებია“? ერთს კერძო შემთხვევაში ჩვენც და კვალელებმაც საქმისთვის საჭიროდ ვცანით ერთი და იგივე მოღვაწე, ნუ თუ ამითი „კვალის“ დროშას ამოუდექით? ძალიან სასურველიც რომ იყოს დამოუკიდებელთა ფიზიონომიის გამორკვევა, წ. კ. გ. ს. კრებამ და არჩევანმა როგორ უნდა გამოარკვიოს, ეგ მარტო კვალმა უწყის.

ჩვენ ჩვენი პროგრამა გვქონდა გამგეობის მოღვაწეობისა და ვისიც მეტი ნდობა გვქონდა, იმედს არ გაგვიცრუებსო, იმას მივემხრეთ განურჩევლად მის საზოგადო მიმართულებისა. სხვას ვის უნდა მივმხრობოდით, რომ ჩვენი ფიზიონომია გამორკვეულიყო?. ბ-ნ ელიავას?—ჯერ ვნახოთ... თუ იგი სხვაა, სიტყვა სხვაა (მოძღვრების სამსახურს მოგახსენებთ და არა თვით მოძღვრებას) და შუა უდევთ დიდი მძღვარი... რატომ, შეიძლება შევთანხმდეთ, ოღონდ მის დასურს დისციპლინას არ დავემორჩილებით. თუ ჩვენი ხარ, ჩვენი დასახელებული ყველა გაათეთრე და ჩვენი დაწუნებული ყველა გააშავეო... ეგ პრუსიული ყაზარმული დისციპლინაა. კიდევ ვის? არჩილ ჯორჯაძეს?—რომელსაც შეუძლიან დღეს ერთი სთქვას, ხვალ სულ სხვა, თავისივე გასამტყუენარი—და მით კენჭოსანთა გული მოიგოს?—რატომ, პოლიტიკა კარგია, დიპლომატია უკეთესი, მაგრამ... დიპლომატია იმისთანა რამ გახლავთ, რომ ჭკვიანს ბისმარკად შექმნის და უგონოს სირაქლემად: წაჰყოფს ბუჩქში თავს და დარწმუნებულია, არავინა მხედავსო. ბ-ნ ლასხიშვილს?—მართალია, შჩედრინმა სთქვა—არ არის ქვეყნად იმისთანა გამოწურული ლიმონი, რომ შიგ ცოტა რამ სიმჟავე კიდევ არ მოიპოვებოდესო, მაგრამ იმავე შჩედრინმა ერთი ზღაპარიც დასწერა—„вяленая вобла“.

ნამდვილს ჩვენს ფიზიონომიას, თუ საქმე იქნება, საქმე გამოაჩენს და არა სხვის, ხშირად ჭუჭყიან, დროშის ქვეშ ამოდგომა. სხვის დროშის ქვეშ დგომა ბრმათათვის დაგვილოცნია. ჩვენ, თუ შეგვიძლიან რამე, ყველა კერძო შემთხვევაში საქმეს ვემსახურებით მისდა სასიკეთოდ ყოვლად მიუდგომლად. ჩვენ გვინდა, საზოგადოების გამგეობამ მეტი ფხა და საქმიანობა გამოიჩინოს; არა მარტო პროვინციიდგან მოწოდებულ ვალით, არამედ თავისი ნაზრუნავითაც დაეხმაროს საქმეს; აწ არსებულ სკოლათა და ბიბლიოთეკათა გარდა, ახალი გახსნას; დაბეჭდოს ბიბლიოთეკის და ნაშთების კატალოგი; იყოლიოს სარედაქციო კომისია წიგნების და დასაწყისს სახელმძღვანელოების გამოსაცემად; გამართოს ხოლმე მსურველ წევრთა დასწრებით კრებები ტერმინების შესამუშავებლად; გამოსცეს ჩუბინაშვილისა კი არა, შევსებული და შესწორებული ლექსიკონი და სხვადა-სხვა. ამას, ვიცით, ფული უნდა, მაგრამ ფულის გარდა შრომა და საქმის სურვილიც უნდა. ჩვენც გამგეობის წევრებად იმისთანა კაცები გვინდოდა, რომელნიც—ჩვენი იმედით—არა მარტო მდივნის მიერ წარმოდგენილ საკითხებს განსჯიან და მით დაამთავრებენ მთელს თავიანთ სამსახურს საზოგადოებისადმი, არამედ სხვა მხრივაც იშრომებენ. მაგრამ უმრავლესობა სულ სხვა განძრახვით იყო მოსული და ახლო მომავალი გვაჩვენებს, ვინ სცდებოდა.

ნეტავი წინასწარმეტყველი ვინ იქნება, რომ გამოიცნოს მოსავალი?...

Intransigeant.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 ნოემბერი.

ვარშავა. ახალ წლიდან აქ არსდება სასკოლო შემნახველი კასსები.

კიევი. მიტროპოლიტი თეოგნოსტი პეტერბურგს წავიდა.

ხარკოვი, სამადნო კომიტეტის წევრი ტაინის სოვეტნიკი შტოფი წავიდა პეტერბურგს, რადგანაც დაასრულა თავისი საქმე სამადნო მრეწველთა კრებაზე.

ჯერ-ჯეროობით არჩეულია 30 ხმოსანი; კენჭი იყარა 100 კაცმა.

ლონდონი. „დაილი ეკსპრეს“-ს ატყობინებენ ბომბეიდამ, რომ გოადან მომავალი დიდი გემი, რომლით მრავალი მლოცველი მიდიოდა ინდოეთის მოციქულის წმ. ფრანცის კსავიეს კუბოს თაყვანისაცემლად, 21 ნოემბერს დაიღუპა; 150 მლოცველი დაიხრჩო.

ბერლინი. გუშინ საღამოს აქ მოვიდა პეტერბურგიდგან მარკიზი იტო.

ბერლინი. „ნორდდაიჩე ცაიტუნგ“-ი იტყობინება, რომ მარკიზი იტო, რომელიც გუშინ მოვიდა ბერლინში, დღეს სადარბაზოდ იყო სტატს-სეკრეტარ რიხტჰოფენთან; მარკიზს ახლდნენ იაპონიის ელჩი ბერლინში და გარეშე საქმეთა სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტად ნამყოფი ტსუზუკი.

24 ნოემბერი.

პეტერბურგი. რუსეთის ელჩს სტამბოლში ზინოვიევს ებოძა ორდენი ვლადიმერის პირველი ხარისხისა. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და პეტერბურგს მიიწვია უწმიდესს სინოდში დასასწრებლად მიტროპოლიტნი კიევის თეოგნოსტი, მოსკოვისა ვლადიმერი, მთავარეპისკოპოსნი ყაზანისა არსენი, ირკუტსკისა ტიხონი და პოლოცკისა ტიხონი.

კიახტა. ნოემბრის შუა რიცხვებში ხელახლავ გაიმართა ტელეგრაფი კიახტისა და პეკინს შუა.

ვაშინგტონი. მაკომასმა და გორამ სენატს წარუდგინეს წინადადებანი ანარხისტების წინაამდეგ ღონის ძიებათა მიღების შესახებ. პირველის აზრით, საერთაშორისო ზრდილობიანობა თხოულობს, შეერთებულმა შტატებმა მიიღონ ღონისძიებანი იმის შესახებ, რომ შტატებში არ ხდებოდეს ხოლმე შეთქმულობა უცხო ქვეყნების მმართველთა წინაამდეგ. გორას წინადადებით სასჯელი ენიშნება პრეზიდენტისა, საბჭოს ვიცე პრეზიდენტისა და უცხო სახელმწიფოთა მეთაურთ შეურაცხმყოფელთ და ოცი წლის საპატიმრო იმათ, ვინც წაადგებს ვისმე მეფეებისა და სახელმწიფოთა მეთაურების მოსაკვლელად.

ხრისტიანია, სახელმწიფო რჩევამ, მეფის თავჯდომარეობით, დაადგინა წარდგენილ იქმნას კანონ-პროექტი სესხის შესახებ. დღევანდელ სხდომაზე იმავე რჩევამ მოითხოვა 35 მილიონი მარკა.

ბერლინი. რეიხსტაგში ცენტრის დეპუტატი შპეკი იცავს ტარიფის კანონ პროექტს. მისი აზრით გერმანია კი არ საჭიროებს სავაჭრო ხელშეკრულობას, სხვები საჭიროებენ. პურის ტარიფის აწევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავარიისათვის. ბავარიის ფინანსთა მინისტრი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ ბავარიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ პურის ტარიფის მომატება აუცილებლად საჭიროა. პაიერი, სამხრეთ-გერმანიის საერო დასის სახელით წუნსა სდებს კანონ-პროექტს, რომელიც მისის აზრით ვერასოდეს ვერ ელირსება კანონად გახდომას.

ფრანკფურტი-მაინზე. ოსტენდენიდან ვენას მიმავალმა მატარებელმა შუაგულს სადგურზე სრული ტარებით გადათელა დებარკადერი მოაჯირიანად და შეიჭრა სამგზავრო დარბაზში. მგზავრებს შიშის მეტი არა მოსწევიათ-რა. დარბაზის კედელი ჩამოინგრა, მაგრამ მგზავრები არ დაშავებულან, რადგანაც მათ დროზე უშველეს თავს. ჭკვიანურობენ, რომ მატარებელს ტორმოზი არ უვარგოდაო.

კონსტანტინოპოლი. წარსულ პარასკევს სმირნაში, თამბაქოს მონოპოლიის დამოუნის დარაჯმა, თოფით დასჭრა ავსტრიის ვიცე-კონსული.

განცხადებანი

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ორშაბათს, 11 დეკემბერს ამ 1901 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, ქალაქს ფოთში **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა სამეგრელოს საქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლისათვის ქვითკირის ორსართულიან შენობის აგების საქმე. შენობაში ოცდა თხუთმეტი განყოფილება უნდა იყვეს; იჯარა სულ 75,000 მანეთისაა. იჯარადარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უზრუნველ საყოველად საჭიროა ბე—ათი პროცენტი საიჯარო თანხისა. ეს ბე შეძლება წარდგენილ იქმნას ნაღდ ფულად, რუსეთის სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ აქციებითა და ობლიგაციებით და აგრეთვე სხვა ქაღალდებით, რომელშია ბედ მიღებაც ნება-დართული სახელმწიფო იჯარების გაცემის დროს. კონდიციებისა, ქალაქის გეგმებისა და სხვა ცნობების განხილვა შეიძლება ფოთის ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 12 საათამდე.

(3—ნ.—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1902 годъ
(33-й годъ изданія)
на еженедѣльный иллюстрированный
ЖУРНАЛЪ
со многими приложеніями

НИВА

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1902 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала „НИВА“, заключающаго в себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

ПЕРВЫЕ **12 ТОМОВЪ** ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ **Н. С. ЛѢСКОВА,**

отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей бумагѣ, съ портретомъ и біографическим очеркомъ, составленнымъ Р. И. Сементковскимъ. Остальные томы сочиненій Лѣсков значительно дополненныхъ произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія или е вовсе не напечатанными, подписчики получатъ въ 1903 году. Въ прежные 12 томо войдутъ романы: Соборяне.—Обойденные.—Островитяне.—Некуда. Разсказы: Запечатлѣ ный ангелъ.—Однодумъ.—Кадетскій монастырь.—Русскій демократъ въ Польшѣ.—Инже ры-безсребренники.—Косой лѣвша.—Очарованный странникъ.—Шерамуръ.—На кр свѣта и мн. друг.

12 ТОМОВЪ ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ **В. А. ЖУКОВСКАГО**

расширеннаго формата, въ 2 столбца, отпечатанныхъ четкимъ шрифтомъ на хорошей б магѣ, съ портретомъ и біографическимъ очеркомъ поэта. Въ эти 12 томовъ, которые б дутъ изданы подъ редакціею знатока Жуковскаго, профессора А. С. Архангельскаго, войдутъ лирическія стихотворенія, баллады, повѣсти въ стихахъ, сказки, посланія, м кія стихотворенія, прозаическія произведенія, дневникъ и письма: Людмила.—Пѣве во станѣ русскихъ воиновъ.—Овсяный кисель.—Шильонскій узникъ.—Поликратовъ п стень.—Кубокъ.—Спящая царевна.—Война мышей и лягушекъ.—Сказка о царѣ Бер дѣѣ.—Ночной смотръ.—Сельское кладбище.—Орлеанская дѣва.—Ундина.—Наль и Д маянти.—Рустемъ и Зорабъ.—Одиссея и мн. друг., равно какъ и цѣлый рядъ еще и изданныхъ поэтическихъ произведеній знаменитаго писателя.

12 КНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ“, содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярн научныя и критическія статьи и проч.—современ ныхъ авторовъ.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содер жащихъ до 300 модныхъ гравюръ по фасонамъ лучших мастеровъ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) до 300 чертежей выкроекъ въ натуральную вел чину, выходящихъ ежемѣсячно.

„СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1902 годъ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложеніями: БЕЗ ДОСТАВКИ: 1) въ С.-Петербургѣ—5 руб. 50 коп., 2) въ МОСКВѢ в конт. Н. П. ПЕЧКОВСКОЙ (Петровск. линіи)—6 р. 25 к.,—3) въ ОДЕС СѢ въ кн. маг. «ОБРАЗОВАНІЕ» (Ришельевск., № 12)—6 руб. 50 ко СЪ ДОСТАВКОЙ ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ—6 руб. 50 коп. СЪ ПЕРЕ ССЫЛКОЮ ВО ВСѢ МѢСТНОСТИ РОССІИ—7 руб. За границу—10 ру

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ Главну Контору журнала „НИВА“ (А. Ф. МАРКСУ), Малая Морская, д. № 22.

(5—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲥᲩᲐᲕᲐᲫᲔ.